№ 7

# ივერია

ფასი ერთი შაური

16 თებერვალი — 1909 წ.

სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი გამოდის ორშაბათობით

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Эриванская площадь д. Гургенова, ред. газ. „ИВЕРІА“ **К. П. Туманову.**

გაზეთი „ივერია“ გამოდის ორშაბათობით, ცალკე № ღირს ყველგან ერთი შაური. ნომერში მოთავსებული იქნება კვირა დღის ამბები და დეპეშები, რომელიც სხვა გაზეთებში სამშაბათობით გამოდის.

**წლის ფასი 3 მან.**

სარედაქციო ნაწილის გამგე კ. პ. **თუმანიშვილი.**

## ამერიკული ვაზის სანერგე

**„კლო-ყგურული“** ქუთაისში.

**მთელ რუსეთში განთქმული მრავალი სხვადასხვა ჯიშის ვაზები**

**1200** ჯიშის ამერიკული, ევროპიული და აზიური ღვინის და საჭმელ ყურძნის და გიბრიდები პირდაპირ დასარგველი.

**პრეის-კურანტი და ახსნა-დარიგება ეგზავნება მსურველს უფასოთ.** (3—3).

კახელ მეღვინეთა ამხანაგობა

## საერო

ამხანაგობის წევრთა ვენახების ღვინო ბოთლი 25 კაპ და მეტიც.

მუდმივ მუშტრებს ღვინო დაკლებულ ფასებში ეძლევათ

**მაღაზია იმყოფება ერევნის მოედანზე, თამამშევის ქარვასლაში**

ტელეფონის № 720 0—1

## ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმ.

ი ხოვს ბბ. ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთ მობრძანდენ ამა წლის 24 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში თავად-აზნაურთა ჩვეულებრივ სამაზრო კრებაზე. საარჩევნო ცენზის და კრებაზე მონაწილეობის მისაღებად საჭირო ცენზის მქონე თავად-აზნაურებმა ამის დასამტკიცებელი საბუთები ტფილისის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში 22 თებერვლამდის უნდა წარმოადგინონ. 2—1

## ტფილისის გუბერნიის თ. აზნ. წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი

სთხოვს ბბ. ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთ მობრძანდენ ხუთშაბათს, 19 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, ტფილისის დეპუტატთა საკრებულოში (ბელინსკის ქუჩა № 2) საგანგებო საგუბერნიო კრებაზე, რომელიც 12 ამა თებერვლის კრების გაგრძელებაა.

კრებაზე განხილულ იქნება: 1) მოხსენება საზაფხულო თეატრის აშენების შესახებ 2) მოხსენება თეატრთან სარესტორანოდ შენობის შეკეთებაზე 3) მოხსენება „კახეთის“ მეღვინეთ ამხანაგობის შესახებ.

## ზედამხედველი კომიტეტი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკისა

წესდების 82, 83, 84, 85 და 86 მუხლების თანახმად ატყობინებს მსესხებლებს რომელთაც წაღებული აქვთ სესხი ერთმანეთის პასუხისმგებლობით, რომ ქვემოთ აღნიშნულ დღეებში დილის 10 საათზე, ბანკის შენობაში ქ. ტფილისში დანიშნულია საარჩევნო კრებები 1909—1911 წლებისთვის 105 წარმომადგენლის ასარჩევად. პირველ კატეგორიისა ამა წლის 26 თებერვალს (35 კაცი), მეორე კატეგორიისა 17 თებერვალს (35 კაცი) და მესამე კატეგორიისა 28 თებერვალს.

რამდენი მსესხებელიც უნდა მოვიდეს საარჩევნო კრებები მაინც შესდგება, იმ პირთა სიები, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ წარმომადგენლები არჩევაში განცხადების დღიდან გამოკიდულია ბანკის შენობაში: ამ სიებიდან გაიგება, ვინ რომელ კატეგორიაში მოთავსებულია.

ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ამხ.

## კოლხიდა

დაიწყეს წაღება სხვა და სხვა **დამყნილ ვაზისა**

საჭირო ცნობების და პრეისკურანტების მიღება შეიძლება გამ. **გ. მ. ჩივაძისაგან.**

0—1

ასრულობს სოფლის და ქალაქის მამულების

## დამირავებას და გადამირავებას

ადრესი: г. Тифлисъ ул. Бѣлинскаго, бывш. Кирпичная д. № 19. кв. кн. Херхеулидзе.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, დილის 8½—10 საათამდის—საღამოობით 5—7 საათამდის. შეიძლება წერილობითაც.

## კაფე პარიზი

ტფ. თავად-აზნაურობის თეატრის ეზოში (Дворцовая ул.)

ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო პირაჟოკები, ბუტერბროტები (15 კაპ. და მეტიც)

**ხაჭაპური**

**ცივი და ცხელი კერძები 25 კ. და მეტი**

სასმელი წყლები

**ლუდი, სადილი**

ფაიფური **სანდომია**

სისუფთავე და კარგი სამსახური

0—1

# დიდი

## მხოლოდ 6 დღეს


ი.ხ. მე-4 გვერდზე.

### ტფილისი 16 თებერვალი

ძნელია კამათი ისეთ ადამიანთან, რომელიც სიმართლეს გაურბის...

„დროების“ მწერლები გვიჯავრდებიან იმის გამო, რომ მათთან გამართულ პოლემიკაში ერთი ძველი საპროკლამაციო ფურცელი დავიმოწმეთ. ამ ჩვენ საქციელს თურმე „პოლიტიკურ დაბეზღების სუნი უდის“, იგი თურმე იმდენად შეუწყნარებელია, რომ გვემუქრებიან, სამუდამოთ ყურს მივუყრუვებთ ყველაფერს, რაც „ივერიაში“ დაიწერება.—

ეს გაჯავრება და ეს მუქარა უხერხულ მდგომარეობაში გვაყენებს. მართლაც შეიძლება განა სიმართლის გარკვევა იქ, სადაც ყველა საჭირო საბუთის დასახელებას არ დაგვაცლიან? ან რატომ არის, რომ ჩვენი მემარცხენე მოწინააღმდეგენი თავიანთ თავს ნებას აძლევენ ჩვენზე ყოველნაირი ჭორი და ცილის წამება შეთხზან და გაავრცელონ საზოგადოებაში, ჩვენ კი მათზე სიმართლის თქმასაც არ გვაბედვინებენ—მაშინვე პირში გვახლიან: „ამის თქმას პოლიტიკურ დაბეზღების სუნი უდისო“? ან რატომ ჰგონიათ, რომ ადამიანის სახელის გატეხა, ხალხში მის შესახებ ცრუ შეხედულების გავრცელება ნაკლები დანაშაულია, ვიდრე ადმინისტრაციასთან ადამიანის დაბეზღება? საზოგადოებაში დასამსახურებლად სახელის გატეხა ზოგიერთებისათვის შეიძლება უფრო საშინელი დასჯა იყოს, ვიდრე კატორღა ან გაციმბირება და ჩვენი მემარცხენე მოწინააღმდეგენი ერიდებოდენ განა ოდესმე ხალხში ადამიანის სახელის გატეხას? ახლაც განა არა ცდილობენ თავად-აზნაურობის დამცველად გამოგვიყვანონ, ამ წოდების ვიწრო კლასიურ ინტერესების დამცველი დაგვიძახონ, თუმცა იციან, რომ ამ წოდებისათვის გული სრულებით არ შეგვტკივა და სხვა უფრო მაღალი და ფართო იდეალები გვალაპარაკებს?..

ჩვენ ვამტკიცებდით, რომ მიწის საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა მიწა ახლანდელ მესაკუთრეებს მოშორდეს და მიწაზე მომუშავე სოფლელების ხელში გადავიდეს. ჩვენ ვამბობდით, რომ საამისოდ ორი საშუალებაა, თვით სახელმწიფოს მიერ მემამულეთაგან მიწების სავალდებულო გამოსყიდვა, ან სოფლელების მიერ ამ მიწების ნებაყოფლობით და მემამულეებთან მორიგებით შესყიდვა. ჩვენ ვაცხადებდით, რომ სავალდებულო გამოსყიდვის მოსაწყობად საჭიროა შესაფერი კანონმდებლობა, და რაკი კანონმდებლობა ცენტრალისტურ რუსეთში ჩვენ ხელთ არ არის, ამიტომ დაგვრჩენია ერთად ერთი გზა—მემამულეებთან მორიგება და სოფლელების მიერ მიწების ნებაყოფლობით შესყიდვა. ამის განსახორციელებლად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნდა ჩვენში მომქმედ პოლიტიკურ პარტიებისაგან გულახდილი რჩევა,—სოფლელებმა მიწა იყიდონ და ამ მიწის მუქთად დასაკუთრებაზე ოცნებას აღარ გამოეკიდონ.

„დროების“ მწერლებმა გვიპასუხეს, რომ ეს რჩევა შარშანვე გამოთქმული იყო ქართულ გაზეთებში და ამიტომ მისი გამეორება საჭიროდ აღარ ჩასთვალეს.

ნამდვილად კი შარშანდელ ქართულ გაზეთებში სულ სხვა რჩევას შეხვდებით: იქ ნათქვამი იყო, რომ დღევანდელი პოლიტიკური პირობები იძულებულ ხდიან პოლიტიკურ პარტიებს ზოგიერთ ლოზუნგებზე დროებით ხელი აიღონ და სადღეისო მოქმედების დირექტივად მიწის ძალით დასაკუთრების მაგივრად მიწების ყიდვა გამოაცხადონ.

მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რა განსხვავებაა ამ რჩევასა და იმ რჩევას შორის, რომელიც გამოვთქვით ჩვენ და რომელიც მიწების ძალით დასაკუთრებას პრინციპიალურად უარჰყოფს.

ამ განსხვავების უფრო გარკვევით დასახასიათებლად ჩვენ დავასახელეთ ერთი საპროკლამაციო ფურცელი, რადგანაც გვგონია, რომ პროკლამაციაში ყოველი პოლიტიკური პარტია, ცენზურის ზეგავლენისაგან თავისუფალი, უფრო აშკარად და გულახდილად გამოხატავს თავის ტაქტიკას.

ჩვენ გვინდოდა დაგვენახვებინა საზოგადოებისათვის, თუ რა იმალება იმ სადღეისო ტაქტიკას უკან, რომელსაც სოციალისტური პარტიები ამ ჟამად იძულებით დაადგენ და ამით ცხად გვეყო, რომ ჩვენგან წამოყენებული მიწის ნებაყოფილობით ყიდვის პრინციპიალური საჭიროება სავსებით არ ეთანხმება ჩვენში მომქმედ პოლიტიკურ პარტიების რჩევას,—სოფლელებმა მიწა იყიდონ, რადგანაც ეხლანდელი პოლიტიკური პარტიები ხელს უშლიან მიწების ძალით და მუქთად დასაკუთრებას:

ჩვენ პრინციპიალურად არა სოციალისტურ ნიადაგზე ვდგევართ, ჩვენს მოწინააღმდეგეებს კი სოციალისტობა ქართველებისთვის საჭირო და სასარგებლო ჰგონიათ; ამ სოციალისტობას იმდენად დამონებული აქვს მათი გონება, რომ ახლა მათ არა სოციალისტურ იდეების უბრალო გაგებაც აღარ ეხერხებათ. მხოლოდ ამითი აიხსნება ის საოცარი გულუბრყვილობა, რომელსაც ჩვენი შეხედულების გარკვევაში იჩენენ „დროების“ მწერლები. რაკი ჩვენ პრინციპიალურად ვეწინააღმდეგებით სოციალისტურ ძალით და მუქთად დასაკუთრებას და ყიდვის ნიადაგზე ვდგავართ, ამიტომ „დროების“ მწერლებს ჰგონიათ, რომ „თუ, მაგალითად, რომელიმე მემამულე უფასოდ უთმობს მიწას გლეხებს, გლეხებმა უარი უნდა სტკიცონ; ჩვენ სყიდვა გვინდა და არა მუქთად მიღებაო“, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი და „დროების“ მკითხველებიც „დროების“ მწერლებზე უკეთესად ახერხებენ იმის გაგებას, თუ რას ნიშნავს პრინციპიალურად მუქთად დასაკუთრების უარყოფა და ყიდვის ნიადაგზე დადგომა და ამიტომ პასუხს არ გავცემთ ამ ბავშვურ საკამათო ტიტინს.

ან რა პასუხი მოგვეთხოვება, როდესაც „დროების“ მწერლებს თანამედროვე პოლიტიკურ და ეკონომიურ წყობილების უბრალო გაგებაც არა ჰქონიათ. „ივერიის“ მეორე ნომერში ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ მიწის საკითხის გადასაწყვეტად ორი გზა არის მიწების: სავალდებულო გამოყიდვა და უბრალო ყიდვა. „დროების“ მწერლები კი გაიძახიან: „სახელმწიფომ თუ იკისრა მიწების იძულებითი გამოსყიდვა მემამულეებისაგან გლეხების სასარგებლოდ, „ივერიის“ აზრით გლეხებმა უარი უნდა განაცხადონ, იმიტომ რომ ისინი პრინციპიალურად მომხრენი უნდა იყვნენ მხოლოდ თავის საკუთარ ჯიბიდან გაღებულ ფულით მიწების შესყიდვისა. თუ „ივერიას“ ესმის თავის საკუთარ სიტყვების მნიშვნელობა, იგი სწორედ ამას მოითხოვს“.

ვარწმუნებთ „დროებას“, რომ ჩვენ ჩვენგან ნათქვამის მნიშვნელობა კარგად გვესმის, და მაინც ამას სრულებით მოვითხოვთ და მხოლოდ გვიკვირს, როგორ შეუძლია თანამედროვე პუბლიცისტს იმ აზრის გამოთქმა, ვითომ სახელმწიფოსაგან მიწების იძულებითი გამოსყიდვა გლეხებისთვის მიწების მუქთად დასაკუთრებას უდრიდეს: მიწის საყიდელი ფული სახელმწიფოს ზეციდან არ ჩამოუვარდება, ეს ფული ხაზინაში ხალხს შეაქვს და განსაკუთრებით კი გლეხობას, ამიტომ სახელმწიფოსაგან მიწების გამოსყიდვა ისევ გლეხების მიერვე მის ყიდვას უდრის და ამიტომ აქ მიწის მუქთად მიღებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, ამიტომვე რუსეთში არა სოციალისტური პარტიები მიწების იძულებით გამოსყიდვას ემხრობიან.

საკვირველი არ არის, რომ ხალხს გზა კვალს უბნევენ ისეთი პუბლიცისტები, რომლებსაც სოციალისტობის გარეთ არა გაეგებათ რა და ამიტომ ჰგონიათ, რომ სახელმწიფოს მიერ მემამულეებისაგან მიწების გამოსყიდვა გლეხებისაგან მიწის მუქთად დასაკუთრებას უდრის, როგორც ეს „დროების“ მწერლებს ჰგონიათ.

ამ გაუგებრობას ისინი სხვა საკითხებშიაც იჩენენ: მათ, მაგალითად, ჰგონიათ, რომ ის, რაც ამა თუ იმ სოციალისტურ პარტიის პროგრამაში სწერია, არა სოციალისტურ პარტიის პროგრამაში არ მოთავსდება. ამიტომ აღნიშნავენ რა იმას, რომ ჩვენ კერძო საკუთრებას არ უარვყოფთ, შემდეგ დომხალს აწვდიან მკითხველებს. „რა არის თუ არ მუქთაობა მემკვიდრეობით სიმდიდრის მიღება, სარგებლიან ქაღალდების გაკრეჭა მაკრატლითა, მესაკუთრეების დივიდენტები და სხვა?“ მართლაც აქ არეულია სხვა და სხვა ერთმანეთში სრულებით დაუკავშირებელი რამე. მათ ჰგონიათ, რომ მემკვიდრეობის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ სოციალისტების საქმეა და ავიწყდებათ, რომ არა სოციალისტური პარტიებიც ებრძვიან მემკვიდრეობით სიმდიდრის მიღებას, რომ მემკვიდრეობაზე სახელმწიფო ყველგან ბაჟს იღებს და რომ ეს ბაჟი ზოგან ისეთი მძიმეა, რომ მის გადახდას მემკვიდრეობის შესამჩნევი ნაწილი უნდება. ვარწმუნებთ „დროებას“ რომ ჩვენც მემკვიდრეობით სიმდიდრის მიღების წინააღმდეგნი ვართ, თუმცა ამისათვის სრულებით არა გვჭირია სოციალისტურ სახარებაზე პირჯვრის დაწერა.

რაც შეეხება სარგებლიან ქაღალდების მაკრატლით გაკრეჭას, აქ ჩვენ ასეთსავე წინააღმდეგობას ვერ გამოვიჩენთ. მაკრატლით იქნება გაკრეჭილი ეს ქაღალდები თუ დანით დაპარსული, ეს სულ ერთია, საქმე ის არის, კანონიერად ჩაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალოს საზოგადოდ სარგებელი და რამე სავაჭრო ან სამრეწველო საქმეში მოგება თუ არა.

„დროებას" ჰგონია, რომ ეს მოგება მუქთაობა არის. აქ ჩვენი შეხედულება სხვა არის და ამის გარკვევას შემდეგში დავუბრუნდებით.

მხოლოდ არ შეგვიძლია აქ მკითხველის ყურადღება არ მივაქციოთ „დროების" ერთ პრაქტიკულს შეხედულებას; „რა საჭიროება მოითხოვს ახლა იმის მტკიცებას, რომ „დროება" და „ჩვენი ხმა" დროებით ემხრობიან მიწების სყიდვას და არა საზოგადოთ და პრინციპიალურად. „ივერიას" რომ საქმის ინტერესი ალაპარაკებდეს და არა საპოლემიკო ჟინი, იგი **განზრახ გაჩუმდებოდა** ამაზე მაგრამ განა ვისაც საქმე აინტერესებს, სიამოვნებით არ აღნიშნავს, რომ მიწების შესყიდვის შესახებ ჩვენს დროში ყველა ჩვენი მიმართულებანი არსებითად ერთისა და იმავე ტაქტიკას ადგანანო, იმის მაგივრად რომ ხელოვნურად აღმოაჩინოს სხვადა სხვაობა."

ჩვენ არ ვემხრობით განზრახ გაჩუმებას და გვგონია, რომ სიმართლის დამალვით საქმე არ გაკეთდება. ჩვენსა და სხვა პარტიებში არსებულ სხვადა სხვაობის აღმოჩენას ერთი მიზანი აქვს—არა სოციალისტურ ელემენტების სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლა და ამ ელემენტებისაგან საკუთარ დროშის აფრიალება. ეს კი საჭიროდ მიგვაჩნია იმიტომ, რომ ჩვენი შეხედულობით სწორედ ამ არა სოციალისტურ ელემენტებს, „ეროვნულ და დემოკრატიულ იდეალებით გამსჭვალულებს, შეუძლიათ ხალხს მეტი სიკეთე მოუტანონ ვიდრე სოციალიზმის სამფლობელოში მეოცნებე პარტიებს; და რაკი ხალხის სიკეთე გულწრფელად გვსურს, ამიტომ არ შეგვიძლია ხელი არ შევუწყოთ არა სოციალისტურ ელემენტების გაღვიძებას და შეკავშირებას...

—

## ურიადნიკს სოლომონ თელიას.

ბ. სოლომონ თელიამ პოლიციელის სახელი არ იკმარა და ისევ თავადს მეძახის. ალბათ ჩემგან მეტი „ხარისხის მიღება უნდა და ამიტომ ჯერ ჯერობით ურიადნიკის სახელი იკმაროს.

მართალია, ეს სახელი „საგანს ნათელს ვერ მოჰფენს", მაგრამ ჩემი წოდებაც „ვერ აღნიშნავს ჩემ ნამდვილ ვინაობას", როგორც ბ. სოლომონ თელიას ჰგონია. მართლაც, ცოტაა განა თავადი - სოციალისტი და გლეხი—სოციალიზმის მოწინააღმდეგე?

ბ. სოლომონ თელიას ჰგონია, რომ ამა თუ იმ ოჯახში თუ დაიბადა ადამიანი, თავის მამა-პაპის ყველა პოლიტიკურ-სოციალური იდეალები უმეტნაკლებოდ უნდა შეითვისოს. და მე „თავადს" მეძახის და ჰგონია, რომ თავადის ოჯახში თუ დავიბადე უთუოდ თავად-აზნაურულ პოლიტიკას უნდა ვაწარმოვებდე..

მე კი ვაცხადებ, რომ ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებას ვადგივარ. „ივერიის" იდეალია ქართველი ერი რუსეთში სრულ უფლებიან წევრად იყოს ცნობილი, რომ მოისპოს ის ეროვნული დაჩაგვრა, რომელიც ქართველს სახელმწიფოში მხოლოდ მოვალეობას აკისრებს და არავითარ უფლებას არ აძლევს. ჩვენ გვინდა, რომ თვით ს.-დემოკრატებისაგან მიღებული ეროვნულ თვითგამორკვევის პრინციპი მხოლოდ პროგრამაში დაწერილად არ დარჩეს და პრაქტიკულადაც განხორციელდეს, რომ შინაურ საქმეებში ჩვენ თავის საკუთარ პოლიტიკას ვაწარმოვებდეთ და სხვებს თავი არ დავაჩაგვრინოთ...

ეს არ მოსწონს ბ. სოლომონ თელიას, ასეთი მიმართულება მას თავად-აზნაურული ჰგონია...

ჩვენ გვინდა, რომ შინაურობაში ხალხის ფართო მასსების ინტერესები არ ემსხვერპლებოდეს ამა თუ იმ ჯგუფის ან კლასის ინტერესებს, გვინდა, რომ მიწა მაზე მომუშავე სოფლელების ხელში გადვიდეს, ვცდილობთ, რომ ხალხში მეტი ქონებრივი სიმდიდრე იყოს და ვებრძვით იმას, რაც ამ ეროვნულ სიმდიდრეს ხელს უშლის. სწორედ ამიტომ ვებრძვით ჩვენში მომქმედ სოციალისტურ პარტიებს, რომლებმაც ხალხი გაალარიბეს და შორეულ იდეალების პრაქტიკულ პროგრამაში გადატანით გზა-კვალი აუბნიეს ქართველ ხალხის უმეტესობას.

ამ ნიადაგზე ვდგევართ ჩვენ, როდესაც ვამბობთ, რომ სოფლელმა მიწა უნდა იყიდოს მემამულესაგან და მუქთად მის დასაკუთრებას არ უნდა უცადოს, ამ ნიადაგზე ვდგევართ, როდესაც ვაცხადებთ, რომ მუშამ გადამეტებული მოთხოვნის წარდგენით და არა სვინდისიერ შრომით არ უნდა დაღუპოს ესა თუ ის სავაჭრო ან სამრეწველო საქმე, რადგანაც ამით თავის საკუთარ არსებობის წყაროს სპობს, ამავე ნიადაგზე ვდგევართ, როდესაც ვფიქრობთ, რომ „ორგანიზოვანი პროლეტარიატის" დროშის ქვეშ დადგომა სოფლელს და ქალაქის მცხოვრებსაც საზარალოდ ურჩება მით უფრო, რომ ამ დროშის აფრიალება ჩვენში უნიადაგოა და ხალხის ფართო მასსებში ერთ ჯგუფის გაბატონებას მოასწავებს.

სწორედ ამიტომ ვცდილობთ ჩვენ, რომ ხალხში მეტი შეგნება იყოს,—თქვენიანების მიერ დაბრმავებული და დაბეჩავებული ხალხი სულ მუდამ სხვის ნებაზე ვერ ივლის და ბოლოს იქნება გაიგებს იმას, რასაც თქვენვე ბრძანებით:

„დღევანდელი განმათავისუფლებელი მოძრაობა თავის დანიშნულებით და ისტორიული აუცილებლობით **წმინდა ბურჟუაზიულია** და ამიტომ ყოველივე რეფორმა, როგორც პოლიტიკაში, ისე ეკონომიაშიაც წმინდა ბურჟუაზიული იქნება და **არა სოციალისტური**..." („ჩვენი საქმე").

ე. ი. სოციალისტები ბურჟუაზიულ, ე. ი. არა სოციალისტურ რეფორმებს განახორციელებენ, ე. ი. ეს არა სოციალისტური რეფორმები დღეს საჭირო და სასარგებლო ყოფილა.

და ამ არა სოციალისტურ რეფორმების განხორციელება სოციალისტებს თუ შეუძლია, რად არ უნდა შეეძლოს მათი განხორციელება არა სოციალისტებს და ამ არა სოციალისტების საამისო მოქმედება რად უნდა იყოს დასაგმობი, თუ თვით სოციალისტები ასეთ მოქმედებას თავისთვისაც საჭიროდ სთვლიან?

როდესაც სოციალიზმის განხორციელებაზე მიდგება საქმე, მაშინ მაღლა და თამამად ააფრიალეთ სოციალიზმის დროშა, ახლა კი გვაცალეთ ჩვენ არა სოციალისტურ დროშის ქვეშ დავირაზმოთ და საჭირო რეფორმები განვახორციელოთ.

და ეს არა სოციალისტური დროშა აფრიალდება, თქვენ ებრძვით მას, მაგრამ თქვენი ბრძოლა მხოლოდ ახალ ძალას შემატებს არა სოციალისტურ ელემენტებს და უფრო აშკარად დაანახებს მათ, რომ საჭიროა საკუთარი, არა სოციალისტური პარტია პოლიტიკურ და სოციალურ რეფორმების განსახორციელებლად.

ეს არა სოციალისტური ელემენტები არა მარტო თავად აზნაურებში მოიპოვება,—სოფლის გლეხობა თითქმის ყველგან და ყოველთვის სოციალიზმის მტერია, რადგანაც სოციალიზმი მისთვის ბოლოს და ბოლოს მავნებელია; არა სოციალისტური ელემენტები მუშებშიაც ბევრია, რადგანაც მუშებში იშვიათად თუ შეხვდებით უმიწაწყლო ბოგანოს, რომელიც საკუთრებას მოკლებული და საკუთრების მიღებას არ ეტრფის.

რაკი პოლიტიკური პარტია მის მიმდევართა ნამდვილ სულის კვეთების გამომხატველი უნდა იყოს, და რაკი ქართველ ფართო მასსების სულისკვეთება არა სოციალისტურია და ვერც იქნება სოციალისტური, ამიტომ აშინებს ჩვენ მოწინააღმდეგებს არა სოციალისტურ ელემენტების პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზზე გამოსვლას, რაკი მას მოჰყვება ფართო მასსების განთავისუფლება იმ გონებრივ „ბატონყმობისაგან", რომელშიაც ისინი ჩვენში მომქმედმა სოციალისტურმა პარტიებმა ჩააგდეს.

ყველა ხომ არ იქნება ბ. სოლომონ თელი სავით კმაყოფილი თავის გონებრივ მონობით—იგი აცხადებს „სოციალისტ იდეოლოგების ბატონყმობის უღლიდან ჩემს განთავისუფლებაზე" მხოლოდ ოცნება თუ შეიძლებაო...

ბ. თელიას წერილში აღნიშნულ ზოგიერთ პრინციპიალურ საკითხზე, როგორიც არის მაგ. კერძო საკუთრების პრინციპი, მკითხველებს ცალკე მოველაპარაკებით.

**კ. თუმანიშვილი.**

## ჩვენი დღიური

### ვაჭრული ჭკუა და ს.-დემოკრატია

„ივერიის" უკანასკნელ ნომერში ჩვენ აღვნიშნეთ ერთი შემთხვევა, რომელიც კარგად ახასიათებს მუშათა ინტერესების დამცველ გაზეთის რედაქციას. აწ განსვენებულმა „ჩვენი ხმა" ყველიერში პარასკევს და შაბათსაც გამოვიდა, თუმცა ყველა დანარჩენ გაზეთებში ამწყობებმა ერთი დღე იუქმეს.

ამნაირად მუშათა ინტერესების დამცველმა რედაქციამ საკუთარ მუშებს ერთი უქმე წაართვა.

ჩვენ ამას წართმევას ვეძახით, თუმცა თვით რედაქცია ამ საქმეს სხვა თვალით უყურებს,—მან განაცხადა—ჩვენი გაზეთი ამას წინეთ რამდენიმე დღეს არ გამოდიოდა და მუშები სამაგიეროთ ახლა ვამუშავეთო.

ამ გზას რომ დაადგეს ვთქვათ „ზაკავკაზიე", რომელიც თითქმის ოცდა ათჯერ დაკეტა და ხან და ხან ორ-სამ კვირესაც დარჩა გამოუსვლელი, მუშებმა ამ გაზეთზე ახლა დღე და ღამე, შობა-აღდგომასაც უნდა იმუშაონ, რადგანაც სხვა ნაირად არ შეუძლია მის რედაქციას აინაზღაუროს ის დაკარგული სამუშაო დღეები, რომლის მიზეზი გაზეთის დაკეტვა ყოფილა.

ადვილი წარმოსადგენია, რა ყვირილს ასტეხავდა „ჩვენი საქმეს" რედაქცია, რომელიმე სხვა გაზეთს ამავე საბუთით თავისი ამწყობები კვირაობით მუშაობაზე რომ დაეყენებინა.

მაგრამ ის, რაც აკრძალულია სხვებისთვის, როგორც მუშათა მტერ კლასსის წარმომადგენელთათვის, ის ნებადართულია „მუშათა კლასსის ინტერესების დამცველთათვის"

ნებადართულია სხვა რედაქციების მოტყუილებაც. რომ ამით მუშათა გაზეთი უფრო გავრცელდეს, რედაქციებს თურმე ერთმანეთში მოლაპარაკება ჰქონდათ, რომ ეუქმათ რომელიმე დღე ... „ჩვენი ხმის" რედაქციამაც თურმე შეუთვალა „დროების" რედაქციას ხვალ ჩვენი გაზეთი არ გამოვაო. „დროების" რედაქციამ დაუჯერა თავის მოქიშპეს, ამწყობები ერთი დღით დაითხოვა, და მხოლოდ მეორე დღეს, რაკი დაინახა „ჩვენი ხმის გამოსული ნომერი დარწმუნდა, რომ თვითონ მოტყუებული დარჩა. მუშათა კლასსის ინტერესების დამცველთა ვაჭრულმა ჭკუამ ამ საქმეში დიდი გამჭრიახობა გამოიჩინა.

და ეს პირველი შემთხვევა არ გახლავს. ასევე მოქცეულა მუშათა გაზ. რედაქცია წინოობა დღესაც, ასევე მოიქცევა ალბად ყოველთვის, როდესაც ამას მისი ვაჭრული ჭკუა და საკუთარ ჯიბის ინტერესები მოითხოვს.

—

ეს უპრინციპობა, ეს სიტყვასა და საქმეს შუა დიდ ზღვარის დატოვება დამახასიათებელია ჩვენებურ უკიდურეს პარტიების წარმომადგენლებისთვის. და ამ უპრინციპობას მათში ანვითარებს ხშირად თვით პარტია, რომელიც ტყუილზე, ხალხის მოტყუილებაზე აგებს თავის ბატონობის შენობას. ის პარტია, რომელიც თვითონ არავითარ საშუალებას არ ერიდება მოწინააღმდეგეზე გასამარჯვებლად, ზნეობრივად ჰრყვნის ხალხს და ივიწყებს, რომ ზნეობით დაცემული ადამიანი არც ერთ პარტიას არ გამოადგება. და როცა მუშათა დამცველი გაზეთი თავის ჯიბის გასასქელებლად თვითონ არღვევს იმ პრინციპს, რომელსაც თვითონ ქადაგებს, ამას დიდი შედეგი მოჰყვება, რადგანაც მუშები აშკარად დაინახავენ, რომ მათი ბელადები იდეალებით გატაცებული პოლიტიკური მოღვაწეები კი არ ყოფილან, არამედ ვაჭრები, ვაჭრული ჭკუით მომქმედნი, ვაჭრულის ადლით ხელში...

კარგი სანახავია: მუშათა ინტერესების დამცველი, რომელსაც ვაჭრობა შეაქვს პოლიტიკაში.

—

სამაგიეროდ ჩოხატაურში ერთი დიდი ბატონი აღმოჩნდა, რომელსაც პოლიტიკა ვაჭრობაში გადააქვს. ეს გახლავთ გაზეთების იქაური აგენტი ბ. მეგრელიშვილი. ვერ გაიგო და ვერა ამ ადამიანმა, რომ ვაჭრობამ პოლიტიკა არ იცის და ვერ შეიტყო, რომ მას, როგორც გაზეთების აგენტს, უფლება არა აქვს ადგილობრივ მკითხველ საზოგადოებას მხოლოდ ერთი რომელიმე მიმართულების გაზეთები გადასცეს.

ბ. ჩოხატაურის აგენტი კი სწორედ ასე იქცევა,—ტფილისში იწერება ყველა მიმართულების გაზეთს ნუ გამომიგზავნითო.

ამნაირად ხსენებული აგენტი ცენზორად უდგება ხალხს და სხვა პარტიისაგან დაწერილის წაკითხვას არ აცლის, პოლიციასავით თავზე დადგომია და „მავნე" ე. ი. სხვა პარტიების მწერლობას არ აძლევს მას. რასაკვირველია, ჩვენი გაზეთიც „მავნედ" მოეჩვენება, რაკი ჩვენ ეს ერთ პარტიის წინააღმდეგ ვართ ამხედრებული და ამიტომ ჩოხატაურლებს „ივერიას" არ მიჰყიდის... „მავნედ" მიაჩნია ისევე, როგორც „დროება", „ნიშადური" ან „ზაკავკაზიე",—ყველა ამ გაზეთს იგი ცუდის თვალით უყურებს და სამაგიეროდ მოსწონს „ჩვენი საქმე", „ეშმაკის მათრახი" და სხვა ასეთივე.

აი ამ საშუალებით ცდილობენ ამ ჟამად, არა სასურველ, პარტიის საწინააღმდეგო აზრების გავრცელებას ხელი შეუშალონ! აზრის, პრესსის და სიტყვის თავისუფლების მოტრფიალენი წინ ეღობებიან სხვა პარტიების სიტყვას და ცდილობენ, ეს სიტყვა ხალხის ყურამდის არ მივიდეს, იქცევიან ისე, როგორც იქცეოდა თვითმპყრობელი რუსის მთავრობა, როდესაც სდევნიდა ოპოზიციას და თავის საწინააღმდეგო წიგნს არც კი აბეჭდვინებდა.

ასევე იქცევა ახლა ჩვენი ქებული პარტიაც და თავის არა თანამგრძნობ გაზეთებს აჩერებს,—ეშინია ხალხმა ეს გაზეთები არ წაიკითხოს და ამ პარტიის სრული პოლიტიკური სიკოტრე არ დაინახოს.

ჩოხატაურის საქმეშიაც ჩვენ სრული უფლება გვაქვს პასუხი იმათ მოვთხოვოთ, ვინც ამ აგენტის ასეთ ცალმხრივობით სარგებლობს,—მათ უნდა მიიღონ ზომები თავის „კეთილის მსურველის" ასალაგმავად, მათ უნდა დაარწმუნონ ეს ბატონი, რომ ხალხის ცალმხრივ ლიტერატურით კვება ხალხის დაბრმავებაა, რომ ხალხის პატივისცემა მოითხოვს მას ასეთი შეუწყნარებელი აპეკუნობა არ გავუწიოთ და ყველა მიმართულების მწერლობა მივაწოდოთ, რომ მკითხველმა საზოგადოებამ თვითონ განსაჯოს და დაინახოს, საითკენ არის სიმართლე, რომელი პარტია ხალხის სურვილებს გამოხატავს უფრო ზედ მიწევნით და უფრო სავსებით...

ჩოხატაურის მკითხველ საზოგადოებასაც ვატყობინებთ ჩვენ, რომ მას ახალი აპეკუნი ჰყავს, რომელიც მას ბავშვად სთვლის და წასაკითხავად მხოლოდ იმას თვითონ აწვდის, რაც მისთვის სასიამოვნოა.

ის დრო წავიდა, როდესაც ხალხს არწმუნებდენ, სხვა პარტიის ნაწერი არ წაიკითხო,—თვით უკიდურეს პარტიების შეგნებულმა ნაწილმა დაინახა, რომ ასეთი ცალმხრივობა სექტანტობას უდრის და ხალხში შეგნებას ვერ შეიტანს, რომ საჭიროა ყველა მიმართულების აზრი გაიგონოს ადამიანმა, თვითონ ასწონ-დასწონონ გაგონილი და შემდეგ ამა თუ იმ აზრს დაადგეს.

და ხოხატაურის მკითხველი საზოგადოება იმდენ თავმოყვარეობას მაინც გამოიჩინეს, რომ არა მკითხე ცენზორს და პოლიციის ასასივით ხალხის გონების განვითარებაზე ყარაულად დამდგარ ბ. მეგრელიშვილს თავის გულის წყრომას გამოუცხადებს იმისთვის, რომ იგი განზრახ ახშობს სინათლეს და სცდილობს ხალხს სხვა მიმართულების გაზეთი ან ჟურნალი სრულებით არ წააკითხოს.

**მეთვალყურე**

* * *

დამშვიდდი... შენი ბედისა
ნაპირი გაღმა-გამოღმა,
წყალობით შემოქმედისა
უკვე დაჭკნა და ჩამოხმა.
სდუმს, ვით გარშემო უბანი,
კიბეც ბინისა ჩუმია,
არ ჰშრიალებენ ქუბანი
იმაზე აბრეშუმისა;
და სანატრელი მარადის
ტურფისა დანარნარება
მორცხვად კიბეზე არ ადის,
შენთან არ შეიპარება;
ბინაც კი, რომა დარდებით
სული არ შეგივუბოსა,
განა სავსე გაქვს ვარდებით,
განა არა ჰგავს კუბოსა?!.
დამშვიდდი... შრომა დიადი
მაში ვერ დაიბადება,
ვერ გაირღვევა წყვდიადი,
ტყვილია თავის დადება.
შენი ფანჯრიდან, გჯეროდეს,
აზრი, შევნებით მკრთომარე,
ვერ გავარდება ვეროდეს
ცეცხლის მარხილში მდგომარე,
რომ გახსნას ცისკენ ქროლაში
მსოფლიო გამოცანები,—
და მიმავალი სკოლაში
ლამაზი გოგუცანები
არ შესწყვეტავენ ცქრიალსა,
არ დაუწყებენ ყურებას
მაშინ ფანჯრების ბზრიალსა
და ფრენის საამურებას,
არ მიუძღვნიან ღიმილსა
აღტაცებით და ტაშითა
იმ მარხილს, გამოქროლილსა
ნიჭიერების რაშითა...
დამშვიდდი... შენი გულიცა
ჰგავს ძველსა სასაფლაოსა,
იქ შვება მიმალულიცა
ვერა-რამ ააყვაოსა;
გავიდენ ტკბილნი ჟღერანი
სანატრელ გაზაფხულისა,
წინ სივრცე მოსჩანს ვერანი
სევდის და სინანულისა.
მორჩი ბავშვურის მინდობით
სულ ოცნებებში ფრენასა:
უთხარ იმედებს მშვიდობით,
უთხარ მშვიდობით ლხენასა.

**გიორგი გვაზავა.**

## პატარა სურათი ჩვენის ცხოვრებიდამ

მარად ტყვეობა, მარად შორკილი
ხვედრია ტანჯულ კაცობრიობის
არავინ არის სრულ-კმაყოფილი:
დიდი, პატარა ტვირთ ქვეშა იბრძვის.

—

სულით ობოლი, გონებით უნდო,
გულით მშფოთარი, გამწარებული,
უფრთხის ყოველ კაცს ადამიანი
ვითა ნადირი „დაშინებული".

—

ბედნიერება! თავისუფლება!
ყველა ნატრულობს, ყველა იძახის,
მაგრამ სად არის ხსნა და იმედი
ბევრმა არ იცის და მიტომ სტირის.

—

ზოგი კი ჰხედავს და უეჭვოდ სწამს,
რომ ყველასა აქვს თვის დასასრული,
და რომ მოისპოს უსამართლობა
იბრძვის და იბრძვის თავგანწირული.

**დაუცხრომელი**

## ბაკვრით გამოკვრით

(სცენები სათავად-აზნაურო საკრებულოში)

### მოქმედება I

ბელინსკის ქუჩა, 12 თებერვალი, საღამოს 8 საათი, საკრებულოს დარბაზში ასამდე თავად-აზნაურია. აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფად ლაპარაკობენ. გამოდის მარშალი თავ. პ. ი. თუმანიშვილი. თავად-აზნაურნი სკამებზე გამწკრივდენ.

**თავმჯდომარე** დიდებულნო თავადნო! ადმინისტრაციის ნებართვით ვხსნი საგანგებო კრებას. უნდა განვიხილოთ ჩვენი თეატრის აშენების საქმე. საცოდავი თეატრი და უფრო საცოდავი ჩვენი თავად-აზნაურობა. ვხარჯავთ, ვხარჯავთ ფულებს, ვაშენებთ, ვაშენებთ თეატრს, მივდივართ—მოვდივართ და საქმეს კი ბოლო არ უჩანს. დასწყევლოს ღმერთმა, საიდან გაჩნდა ის სომეხი ახალგაზრდა არხიტექტორი?.. გაჩნდა ახალ-გაზრდა არხიტექტორი ტერ-სარქისიანი და გვითხრა, მარტო მე შემიძლია ქართველების გადარჩენაო, მარტო მე შემიძლია ქართული თეატრი აღვადგინოო. შეადგინა ხარჯთ აღრიცხვა და წარმოგვიდგინა. ამ ხარჯთ-აღრიცხვაში ეწერა,—მომეცით 80,000 მანეთი და ამ ფულით ავაშენებ დიდ ზამთრის თეატრს, ფართო საზაფხულო თეატრს, კლუბსა და სარესტორანო შენობასაც. ეს იყო 1906 წლის დასაწყისი. შევიყარენით, განვიხილეთ ეს ხარჯთ-აღრიცხვა და სიხარულით არ ვიცოდით რა გვექმნა. ვიფიქრეთ, ეხლა კი ეშველა ქართულ თეატრსო, მივეცით 80.000 მანეთი. ტერ-სარქისიანცმა აქედან ჯერ თავის სასარგებლოდ 6% აიღო, ე. ი. 4800 მანეთი და იმავე დღეს საქმეს შეუდგა. არ გაიარა რამდენიმე თვემ, ტერ-სარქისიანცს ეს 4800 მანეთი დაეხარჯა და, თუმცა შენობა გათავებული არ იყო, კიდევ ხარჯთ-აღრიცხვის მომატება ითხოვა 40.000 მანეთით. ესეც მივეცით, ტერ-სარქიანცმა აქედან ისევ 6% აიღო, ე. ი. 2400 მანეთი და განაგრძო შენობა. ეს 2400 მანეთიც რომ დაეხარჯა, მოვიდა და გვითხრა, კიდევ 35,000 მოუნდება შენობასო, მეტი რა ჯანი იყო, ამოდენა ფული ჩავუყარეთ და ეს 35,000 მანეთიც რომ არ მიგვეცა, დახარჯული ფულიც დაკარგული იქნებოდა. მივეცით

ეროვნული ბიბლიოთეკა

35,000 მანეთი, 6 პროც. ტერ-სარქისიანცმა აიღო 2100 მანეთი და ისევ განაგრძო შენობა.

დადგა 1908 წ. აპრილი, შენობა წინ არ მიდის. ისევ გამოცხადდა ტერ-სარქისიანცი და ისევ გვითხრა, კიდევ 67000 მ. სჭირია საქმის დამთავრებასო. ეს ფულიც მომეცით და პატიოსან სიტყვას გაძლევთ, თქვენ ფული აღარ გამოგართვათ, მივეცით და ამის 6 პროც. ე. ი. 3050 მანეთიც გადაითვალა და არხეინად შეუდგა საქმეს.

ვთქვით, მადლობა ღმერთს, ახლა კი გვექმნება თეატრი. ჩავაყენეთ ამავე საქმეში კაცები თვალყურის სადევნებლად და საქმეს უფრო სასტიკად მოქცევა დავუწყეთ.

15 დეკემბრისათვის ზამთრის თეატრი როგორიც იქმნა გავხსენით. ტერ-სარქისიანცმა და ჩვენმა კომისიამ წარმოგვიდგინეს ახალი ხარჯთ-აღრიცხვა. იქა სწერია, აღებულია 222,500 მანეთი, მაგრამ მარტო ზამთრის თეატრს 289,800 მანეთი დასჭირდა, ასე რომ ჩვენ 67,300 მ. მეტი დავხარჯეთ, თავში ქვა იხალეთ და ეს ფული კი უთუოდ უნდა გადაიხადოთ, რადგანაც ფული უკვე დახარჯულია და მოვალეებიც აგერ კარებზე დგანან. იმასაც ვიტყვით, რომ ამ 67,300 მანეთის 6 პროც., ე. ი. 4038 მან. ტერ-სარქისიანმა თავის გასამსჯელოდ უკვე აიღო. ამას გარდა გვიბრძანეს მივცეთ საზაფხულო თეატრის დასამთავრებლად 32,000 მან., რომლიდანაც ტერ-სარქისიანცს ერგება 6 პროც., ე. ი. 1920 მან. გვეფიცებიან ამითი შენობა ნამდვილათ დასრულდებაო.

საზაფხულო თეატრი ჯერ აშენებული არ არის, მაგრამ იგი იჯარით უკვე გავეცით ქ-ნ იავორსკაიაზე. ამ პირველ მაისამდის თეატრი მზა მზარეულად თუ არ ჩავაბარეთ, მის სასარგებლოთ 5000 მ. ჯარიმა უნდა გადავიხადოთ და ჩვენი ხელშეკრულობაც ძალაში უნდა დარჩეს, ე. ი. საზაფხულო თეატრი მაინც უნდა ავაგოთ.

ფულიც არა გვაქვს. ჩვენი აზრი ეს არის, ავირჩიოთ საფინანსო კომისია, რომელმაც სალარი უნდა გვიჩვენოს. ფული ვიშოვნოთ და გამოვაკვლევინოთ, მართლა ეს 32000 მან. ეყოფა საზაფხულო თეატრის დამთავრებას. თუ არა საამისოდ, კი საჭიროა ტეხნიკური კომისიაც. ეს ორივე კომისია დღეს ავირჩიოთ. ამ კომისიებმა ერთ კვირაში უნდა გამოაკვლიონ ყველაფერი და ერთი კვირის შემდეგ კი ჩვენი კრება განვაგრძოთ.

**ხმები**. რა უბედურობაა! სად არის ფული. თვალები არა გვქონდა, სად ვიყავით! ან გვინდა თეატრი, დაანგრიეთ. ზედ ხომ არ გადავყვებით და სხვ...

**თავმჯდომარე** (ზარს რეკავს). ტყუილია ეს ლაპარაკი, საქმეს ვერაფერს ვუშველით. ვისაც რამე აქვს სათქმელი, სთქვით. გამოგვიყვანეთ ამ გაჭირვებისაგან.

**თავ. ვ. დ. ვაჩნაძე**. დასწყევლოს ღმერთმა, საიდან გაჩნდა ეს არხიტექტორი? ის კი გაჩნდა, მაგრამ ჩვენ რაღას ვაკეთებდით, რამდენიმე კომისია ავირჩიეთ მცოდნე კაცებისაგან შემდგარი და არც ერთმა მათგანმა არ გვითხრა რომ ვცდებით, ისე მივგორავდით თავდაღმართზე, როგორც ბურთი. მე ვარ გამგე იმ შენობისა, არც ტეხნიკი ვარ, არც მეხანიკი. მაგრამ დარწმუნებით გეტყვით, რომ 32000 მანეთი შენობის დასრულებას ვერას გზით ვერ ეყოფა. მე გამოვიანგარიშე, რომ კიდევ 13,000 დასამატებელი იქნება. ეს მე გამოვიანგარიშე, ნამდვილად კი ალბად კიდევ მეტი სჭირდება. ამასაც ვიტყვი,—რაც ფულია იქ დახარჯული, იმის კვიტანციები და დავთრები ყველა რიგშია, ჯამი ყველგან სწორია...

**კ. ი. სვიმონოვი**. ჩვენ იმიტომ დავადგინეთ ამ თეატრის აშენება, რომ ქართულ თეატრისათვის სამუდამო მუქთი ბინა გაგვეჩინა. ახლა კი ქართული თეატრი ხელშეკრულობის ძალით ქ. იავორსკაიას აძლევს 9 თვის განმავლობაში 7000 მანეთს, თვით იავორსკაია კი ჩვენ გვაძლევს მარტო ზამთრის თეატრში 10,000 მანეთს, ასე რომ ქართული თეატრი უფრო დავღუპეთ.

**მ. ვ. მაჩაბელი**. უბედურები იმითი ვართ ქართველები, რომ იმ საქმეებში ვეჩრებით, რაც არ ვიცით და არ შეგვეხება, ყველას თავისი თავა სპეციალისტი ჰგონია და საქმე ამითი ფუჭდება. ახლა ჩვენ ავირჩევთ კომისიებს. ეს კომისიებიც ჩვეულებისამებრ გვეტყვიან,—ვსიო ობსტაიტ ბლაგოპოლუჩნო და ფული უთუოდ უნდა მივცეთო. (სიცილი)

**თავ. გ. რ. ამირაჯიბი**. ჩვენი მარშლები, დეპუტატები და რჩეული პირები მუდამ დღე დილიდან საღამომდე შენობასთან ეყარნენ და უყურებდნენ... უყურებდნენ და სხვა არაფერი, საქმის არაფერი გაეგებოდათ და მოსტყუვდნენ.

**თავ. ვ. დ. ვაჩნაძე**. სიტყვა-ეყარნენ არ შეფერის დღევანდელ კრებას

**ხმები** დიე, ნუ ეყარნენ, იდგნენ, სულ ერთია.

**ი. ს. ჯაბადარი**. მე უკანონოდ მიმაჩნია ის, რომ ჩვენმა წარმომადგენლებმა იჯარის პირობა შეჰკრეს იავორსკაიასთან და ამ პირობაში ჯარიმა გამოიყვანეს... შეგვიძლია არც თეატრი დავამთავროთ და ქ. იავარსკაიასაც არაფერი არ მივცეთ.

**თავ. გ. დ. მაჩაბელი**. თავიანთ უფლებებს ძალიან გადააჭარბეს ჩვენმა წარმომადგენლებმა. არც საზაფხულო თეატრი გვინდა არც ფულს მივცემთ ქ. იავორსკაიას და არც თქვენ მოგცემთ ფულს.

**ი. პ. ისარლოვი**. მოგიყვანთ მაგალითებს, რომ არ შეიძლება ასეთი გადაჭარბება ხარჯთ აღრიცხვაში. ვის გაუგონია 80,000 მანეთი გადაწყვეტილი და კიდევ გაიძახიან, ესეც არ ეყოფაო. უმაღლესის ბრძანებით მე რამდენიმე სახელმწიფო კამისიაში ვიყავი და ახლაც ვარ,—რამდენი გიმნაზიები ავაშენეთ, მაგრამ ასეთი ამბები არსად არ მომხდარა. და სირცხვილიცაა.

**თავმჯდომარე** (ისარლოვს) პატივცემულო იაკობ პეტროვიჩ. მოგაგონებთ რომ ამ ზედმეტ ხარჯის მიზეზი თქვენც ბრძანდებოდით. კედლები რომ ავაშენეთ თქვენ იმ კრებაში გამოაცხადეთ, რომ ამ კედლების საძირკველი არ ვარგაო. შეიქმნა აყალ-მაყალი, მიწევ-მოწევა და გვეუბნებოდენ, როგორ?—საძირკველი არ ვარგა და კედლები აგიშენებიათო. დავანგრიეთ კედელი და საძირკველი კარგი გამოდგა. (სიცილი)

**ი. პ. ისარლოვი**. მაშ მე ვყოფილვარ დამნაშავე?..

**თავმჯდომარე** პატივცემულო იაკობ პეტროვიჩ. მაპატიეთ, მე თქვენ არა გთვლით დამნაშავეთ, მაგ გამოცხადებით, რომ საძირკველი არ ვარგაო, რასაკვირველია კეთილი გსურდათ ჩვენთვის... მაგრამ კმარა. საგანი გამოირკვა. ავირჩიოთ საფინანსო და ტეხნიკური კამისიები.

**ხმები**. ავირჩიოთ, ავირჩიოთ, შველა აღარ ყოფილა!

**თავმჯდომარე**. ჩვენ ვასახელებთ ამ სატეხნიკო კამისიისთვის მამრაძეს, კლდიაშვილს, ქურდიანს, მ. ა. ვაჩნაძეს, გურამიშვილს და სარაჯიშვილს. საფინანსო კომისიაში კი აი მარცხნივ წინა რიგში ექვსი კაცი რომ სხედან, ეგენი იყვნენ და თავმჯდომარეც მე ვიქმნები.

**ხმები**: აგრე იყოს. აგრე იყოს...

შემოდიან ვ. რცხილაძე, ს. ვახვახიშვილი და კოლა აბაშიძის ლოტაბაზრობით მღერიან

ღვინო კახურო ვარ შენი მსმელი
გინდ თეთრი იყავ, თუნდაც წითელი.
მიყვარს ამ რიგად სუფრა გაშლილი
თბილ-თბილი პური ჩარიგებული.
ცხელ ცხელი მწვადი დანით შეთლილი
პირს ჩასადები და გემრიელი.

**თავმჯდომარე** (ზარს რეკავს) ბატონებო, აქ სიმღერა არ შეიძლება. რა გინდათ სთქვათ.

**ვ. რცხილაძე**. ჩვენი ფირმა იღუპება, კახური ღვინო თუ გიყვართ შეგვეწიეთ. ასი ათას მანეთს თუ არ მოგვცემთ, ჩვენც დავიღუპებით და თქვენც, რადგანაც კახეთის ღვინო აღარ გექნებათ. იძულებული ვართ მთელი საქმე სომხებს გადავცეთ.

შემოდიან გენო ქოჩულოვი, სვიმონ ფერნაძე, კოტე ყავრიშვილი და მიშა ლობჟანიძის ლოტბარობით მღერიან.

ვერ მოგართვეს ბადრიჯანი
ნუ დაგრჩება ხათრიჯანი
თუ კახეთი არ იქნება
საერო ხომ აქ იქნება

„ეტო ნე პრაიდიოთ, ეტო ნე პრაიდიოთ, დენგი ვი ნე პალუჩიტე.

**აბელ კალატოზიშვილი**. (შევარდება კალოშებით, ყაბით და კაბალახით, ხელში დიდი ხაჭაპური უჭირავს.) მაპატიეთ ასე შემოვარდი, ვეშურებოდი, გავიგე რომ აქ ფულს არიგებენ. მეც მომეცით 35,000 მანეთი, გავაფართოვებ ჩემ, კაფეს, ყოველ დღე ქადებსა და ხაჭაპურებს გაჭმევთ ისე შეგინახავთ, როგორც ლამაზ, მზითვიან უმანკო პატარძალს.

**თავმჯდომარე** ახლა ფულის მოცემაზე ლაპარაკი არ შეიძლება. აი ჩვენ ავირჩიეთ უკვე საფინანსო კომისია, ეს კომისია ფულს გამონახავს, შემდეგ ხუთშაბათისთვის მობრძანდით და ფული თუ დაგვრჩა, თქვენც მოგცემთ.

(ტაშის კვრა, კრება დაიხურა)

**ერგნელი**

---

## პატარა ფიქრები.

ამას წინათ მკითხველებს გავაცანით ის უშინაარსო და მეტად მსუბუქი საბუთები, რომელიც ჩვენ თვალახვეულ მარქსისტებს წამოჰყავთ ჩვენი ერის და ქვეყნის თვითმმართველობის წინააღმდეგ.

სამწუხაროთ, ამ სამიწლის განმავლობაში ბევრი მაინცა და მაინც ვერა ისწავლეს რა ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა და ეხლაც თვით მესამე სათათბიროშიაც თითქმის ისევ იმ გზას ადგიან, რომელზედაც ჩვენ უკვე ლაპარაკი გვქონდა.

ჩვენი ეხლანდელი დეპუტატები უკიდურესმა სექტანტობამ იქამდის მიიყვანა, რომ ამ დიად ისტორიულ მომენტს, როდესაც გამვლელი, თუ გამომვლელი მხოლოდ იმასა ცდილობს, რომ ჩვენი წარსული ისტორია და კულტურა შეურაცხყოს, ჩვენი ისტორიული უფლებები სასაცილოდ იგდოს, ჩვენი ერი დაამციროს და მთელი ქვეყნის წინაშე თავი მოგვჭრას, ისინი გულხელდაკრეფილები სხედან და ხმას ვერ იღებენ.

ან აბა როგორ გაბედავენ მთელ რუსეთის სოციალისტების ნება დაურთველათ ჩვენი ერის უფლებებზედ სათათბიროში სჯა-ბაასსა.

რას მოასწავებს ამგვარი სიჩუმე ჩვენი დეპუტატების მხოლოთ ჩვენი ქართველი ეროვნულ უფლებების გამოკვლევის და შეკითხვის საგანში, თუ არ სექტანტურ ყურმოჭრილ მონობასა?

რას მოასწავებს ამათი სიჩუმე იმგვარ კითხვებზედ, რომელსაც რუსის დეპუტატებმაც კი ვერ მოითმინეს და გვერდი ვერ აუქციეს?

ნუ თუ ბ-ნ ბობრინსკის და მილიუკოვს უფრო გული უნდა ეწოდეთ დამწვარ და გაოხრებულ საქართველოსთვის, ვიდრე ამ უკანასკნელის ღვიძლ შვილებსა?

რას მოასწავებს ყველა ეს, თუ არ იუდა ისკარიუტულ სამშობლოს ღალატს ერის ისტორიის და კულტურის წინაშე?

რა პასუხს მისცემენ ეს ვაჟბატონები საცოდავსა დ აბეჩავებულს ხალხს, ხალხს, რომელიც ადრე თუ გვიან გამოიღვიძებს, წელში გასწორდება, მიიხედ მოიხედავს, მონობის უღელს შეიგნებს და თავის ეროვნულ ინტერესების დაცვას მოინდომებს.

მაშინ ხომ, რა თქმა უნდა, ხალხი თვითონვე გაარჩევს, ვინ უღალატა მას ასე დაუნდობლად,—მათ, ვინც ჩვენ ქართველ შინაურ ცხოვრებაში მტრობა და შური ჩამოაგდო, შუბლზედ რაღაც უცხო და და მეტად უცნაური იარლიკი მიიკრა, ხალხს თვალები აუხვია და უწყალოთ მოატყუა, წარსული ისტორია და იდეალები ფეხით გაჰქელა და ამით ჩვენს მტერს გული მოუგო, თუ მათ, ვისაც დღეს ეროვნული დროშა პატიოსნათ მაღლა უჭირავთ და ქართველ ერის ინტერესების დაცვისათვის მუდამ მზათ არიან სიცოცხლე შესწირონ, თავიანთი მიწა წყალი საუკეთესო მამულის შვილების სისხლით მორწყული არავის დაუთმონ და მის შერჩენას სიკვდილამდის ემსახურონ.

მაშ, დაე თვით ქართველმა ხალხმა გაგვასამართლოს!..

**აბისელი**.

---

# დეპეშები

**ლონდონი**. თავრიზიდან იტყობინებიან: მთავრობის ჯარები საფრთხეში ჩავარდენ,—ნაციონალისტების ერთი მეთაურთაგანი მუზაფერ ხანი 200 მხედრით კაზვინში ჩავიდა. ამითი ეინულოვლეს თეირანისკენ, გზა შეეკრა. რუბახარი და მენდილი რეშტის მახლობლად ნაციონალისტების ხელში გადასულა.

ხუთშაბათს თავრიზთან რამდენიმე შეტაკება მოხდა. როგორც ამბობენ თავრიზს შეუძლია გაუმაგრდეს მთავრობის ჯარების იერიშს.

„ტაიმსი“ სწერს: ინგლისი და საფრანგეთი ხელს შეუწყობენ რუსეთის ყოველ ფეხის გ დადგმას და უიმისოდ არაფერს არ დაიწყებენ.

**სტამბოლი**. ავსტრო უნგრეთის ბოიკოტი აიხსნა.

**პარიზი**. დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე უკეთ შეიქნა.

**სტამბოლი**. ოსმალეთის მთავრობა ავსტრიის მთავრობას მოურიგდა. ამ მორიგების თანახმად ავსტრო უნგრეთი ავსტრიის ხელში გადადის, სამაგიეროდ ავსტრია ოსმალეთს ორი კვირის განმავლობაში გადასცემს 2 ½ ნახევ. ოსმალეთის გირვანქა ფული. ოსმალეთი სავაჭრო ხელშეკრულობას შეიმუშავებს, ავსტრიასთან. ავსტრიას ესპობა ის პრივილეგიები რომელიც მას ოსმალეთში ჰქონდა და სხვა..

**პეტერბურგი**. სახელმწიფო სათათბიროში მემარჯვენეებმა შეკითხვა შეიტანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს უკანონო მოქმედების შესახებ, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ მილიუკოვი პარიზის კონგრესზე განაწილების მიღებისთვის პასუხის გებაში მიცემული არ იქნა.

**თავრიზი**. გუშინ მთავრობის ჯარებმა ყუმბარები დაუშინეს რევოლიუციონერების ბარიკადებს, და გაანადგურეს ისინი. დღეს მშვიდობიანობაა.

**პეტერბურგი**. მილიუკოვმა სათათბიროში 13 თებერვალს განაცხადა, რომ სტოლიპინს 1906 წელს ივნისში მასთან მოლაპარაკება ჰქონდა კადეტების სამინისტროს შედგენის შესახებ. მთავრობა იტყობინება, ეს განცხადება სიმართლეს მოკლებულია, სტოლიპინს არავითარი მოლაპარაკება არ ჰქონია მილიუკოვთან და თვით მილიუკოვიც ან მისი პარტიის წევრებიც სამინისტრო პორტფელებს არ მოელოდენ. 1906 წ. ივნისში მილიუკოვი შინაგან საქმეების მინისტრ სტოლიპინთან მიწვეული იყო ხელმწიფის სურვილისამებრ მხოლოდ იმისთვის, რომ მას გადაეცა იმ დროს სათათბიროში გაბატონებულ პარტიის სურვილი. მინისტრთან ლაპარაკის დროს მილიუკოვმა დაწვრილებით შეატყობინა, რომ მისის აზრით საუკეთესო იქმნებოდა კადეტურ სამინისტროს შედგენა, ამასთან ისიც სთქვა: რომ შეერთებული სამინისტროც სასარგებლო იქმნებოდა. მილიუკოვის ეს აზრი მაშინვე გადაეცა ხელმწიფეს და სტოლიპინმა მაშინ მის შესახებ თავისი შეხედულება გამოსთქვა, რომ ასეთ სამინისტროს შედგენა რუსეთს დაღუპავს,—სტოლიპინის აზრი ხელმწიფემაც მოიწონა.

---

## რუსეთის ცხოვრება

ჩვენთვის რუსეთის ცხოვრებაში ბევრი რამ საგულისხმო მოხდა—სათათბირომ კავკასიის შეკითხვის გარჩევა დაასრულა და საჭიროდ სცნო: კავკასიის ნამესტნიკი ექვემდებარებოდეს მინისტრთა საბჭოს და თვით კავკასიაში კი სხვა და სხვა საჭირო რეფორმები განხორციელდეს.

ამ გადაწყვეტილებას ადგილობრივი პრესსა სხვა და სხვა ნაირად შეხვდა: ზოგმა იგი თითქმის გამარჯვებად მიიღო და გამოაცხადა, რომ ახლა კი გვეშველება, საჭირო რეფორმების განხორციელებას მოვესწრებითო. ზოგი კიდევ უკმაყოფილებას აცხადებდა იმის გამო, რომ ამ გადაწყვეტილებას ნამესტნიკობის მოსპობა უნდა მოჰყვეს, რადგანაც მინისტრთა საბჭოს ხელქვეითი მმართველი ნამესტნიკი კი არა, უბრალო გენერალ გუბერნატორია: ნამესტნიკი მხოლოდ ხელმწიფის ხელქვევითად ითვლება.

ამ ორ შეხედულებაში მეორე უფრო სწორია. მართალია, სახელმწიფო სათათბიროს გადაწყვეტილებას ნამესტნიკობის მოსპობა ახლავე არ მოჰყვება ისევე, როგორც რეფორმებიც ახლავე არ იქმნება შემოღებული. კიდევ ბევრი დრო გაივლის, სანამ რეფორმების შემუშავებას მოასწრებენ სათათბიროს კომისიები, კიდევ ხშირად შეიცვლის თავის შეხედულებას კავკასიაზე სათათბიროს უმეტესობა,—ამიტომ ხსენებულ გადაწყვეტილებას ჯერ ჯერობით დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს.

მისი მნიშვნელობა უფრო ზნეობრივია,—ეს გადაწყვეტილება გვიჩვენებს, რა შეხედულებას ადგანან რუსების სხვა და სხვა პარტიები კავკასიის ადგილობრივ საჭიროებების შესახებ.

ამ მხრივ გადაწყვეტილებაში სასიხარულო არაფერი არ არის. მართალია რეფორმები ახსენეს, მაგრამ ყოველი რეფორმა შეიძლება ადგილობრივ ხალხისთვის საზარალო დარჩეს, მისი განხორციელება შესაფერ პირობებში თუ არ იქმნა ჩაყენებული. ამა თუ იმ ცვლილების ვარეგანი სახე კი არ არის მნიშვნელოვანი, მნიშვნელოვანია რეფორმის შინაარსი, ის უფლებები, რომელსაც იგი ხალხის ფართო მასსებს ანიჭებს.

სათათბირომ მაგ. საჭიროდ სცნო საერობო თვითმართველობის შემოღება კავკასიაში, მაგრამ ეს თვითმართველობა შეიძლება ისეთ პირობებში იქმნეს ჩაყენებული, რომ ადგილობრივ ხალხი მას თავის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ვერ გამოიყენებს.

ნაფიც მსაჯულების სასამართლო კარგი რამეა, მაგრამ ამ სასამართლოში რუსული ენა თუ იქმნა გამეფებული, ხალხისთვის ეს სასამართლოც ისეთივე უცხო იქნემა, როგორიც არის ახლანდელი სასამართლოები.

თვითმართველობა საზოგადო ცხოვრების სხვა და სხვა დარგში შეიძლება ადგილობრივ ხალხის ეროვნულად დაჩაგვრის იარაღად გახდეს...

როგორც არ უნდა შეცვალონ ადმინისტრაცია, შიდ ადგილობრივ ელემენტებს შესაფერი ადგილი თუ არ დაუთმო, რეფორმა კვდარი დარჩება და ხალხი ახალ ადმინისტრაციას ნდობას ვერ გამოუცხადებს.

ამიტომ სახელმწიფო სათათბიროში რეფორმების საჭიროების გამოცხადება თავის თავად ვერ გაგვახარებს, თუ არ გვეცოდინება, რომ ამ რეფორმებს წინ წანემძღვარება ადგილობრივ ხალხის სიკეთის და გაბედნიერების გულწრფელი სურვილი...

აი ამ სურვილს სათათბიროში ვერ ვხედავთ ვიწრო ეგოისტურ მისწრაფებით გაჟღენთილი სათათბიროს უმეტესობა კავკასიას უყურებს, როგორც ბუნებით უხვად დაჯილდოვებულ მხარეს, რომლის სიმდიდრე უსარგებლოდ რჩება, რომლის სიმდიდრე რუსი ეროვნება საკმარისად ვერ სარგებლობს და რეფორმების მიზანი ის არ ს, რომ ამ ეროვნებას კავკასიის სიმდიდრის თავის სასარგებლოდ გამოყენება გაუადვილოს.

მართალია ეს აზრი ასე აშკარად არ გამოუთქვამთ, მაგრამ საკმარისია თვალყური ადევნოთ იმას, რასაც ოქტომბრისტების გაზეთებში იწერებოდა და ახლაც იწერება რუსეთში მცხოვრებ ეროვნებათა დამოკიდებულების შესახებ, რომ ჩვენთვის ცხადი გახდეს მათი ეგოისტური მისწრაფება და იდეალები.

სწორედ აქ, ამ ოქტომბრისტების წრეში, უფრო ხშირად გაისმის რუს ეროვნების ინტერესებზე ცხარე ლაპარაკი და უფრო ხშირად შეგვხდება მეცადინეობა სწორედ ამ ეროვნებას სახელმწიფოში ყველა უპირატესობა მიეცეს.

ამის სურვილით გამოწვეულია სათათბიროს მეორე გადაწყვეტილება, კავკასიის ნამესტნიკს თავისუფალ მოქმედების უფლება მოისპოს და კავკასიის გამგებლობა მინისტრთა საბჭოს განკარგულებას დაექვემდებაროს.

ყოველი თავისებურება ოქტომბრისტებს აშინებს, ნამესტნიკობა ცოტაოდნად მაინც აფერხებს კავკასიაში რუსების გაბატონებას, რადგანაც იგი დეცენტრალიზაციაა და ყოველთვის მეტ უფლებას და მეტ გავლენას ანიჭებს ადგილობრივ ხალხს, ვიდრე ცენტრალისტური წესწყობილება: ის მმართველი, რომელიც ხალხთან ახლო დგას, ხალხის ჭირვარამს იცნობს, ხალხის სხვა და სხვა კლასსის წარმომადგენელთან პირადათ გაცნობილია, ვერასოდეს ვერ დაადგება ადგილობრივ საჭიროებათა სრულ უარყოფის გზას.

ეს უარყოფა მოსალოდნელია მხოლოდ ცენტრალისტურ სახელმწიფოში და ჩვენდა საუბედუროდ ეს ცენტრალისტობა უთუოდ განხორციელდება რუსეთში, რადგანაც უკიდურეს მემარჯვენეებთან, და ოქტომბრისტებთან ერთად, თვით უკიდურესი მემარცხენე ელემენტების ერთი ნაწილი და მათ შორის ჩვენებური ს.-დემოკრატებიც ეწინააღმდეგებიან ადგილობრივ ეროვნებათა პოლიტიკურ თავისუფლებას და რუსეთის ყველა კუთხეს ერთ დიდ ტაფაში აგდებენ, რომელსაც მემარჯვენეები ცენტრალისტურ თვითმპყრობელობას ეძახიან, ს.-დემოკრატები კი ცენტრალისტურ დემოკრატიულ რესპუბლიკას არქმევენ.

ერთად ერთი ჩვენი იმედი ის არის,

რომ ხალხი შეიგნებს. ბოლოს ს.-დემოკრატების ასეთ შეცდომას და ან თვით ს.-დემოკრატები შეცვლიან თავიანთ პოლიტიკურ იდეალს ან ხალხი მათ გვერდს აუხვევს და ააფრიალებს ახალ პოლიტიკურ პარტიის დროშას, რომელსაც სხვათა შორის წააწერს „დეცენტრალიზაციის“ მოთხოვნას, ე. ი. ეცდება მოიპოვოს ის პოლიტიკური თავისუფლება, რომელიც მას საკუთარ საქმეების დამოუკიდებლად მოწყობის საშუალებას მიანიჭებს და სხვა ეროვნების პოლიტიკურ მონობიდან გაანთავისუფლებს.

## ახალი ამბები

**ქართული წარმოდგენა ვასო აბაშიძის სასარგებლოთ** ზეგ ოთხშაბათს, 18 თებერვალს ავადმყოფ ვასო აბაშიძის სასარგებლოთ ქართ. დრ. საზ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: ტრ. რამიშვილის ახალი პიესა „საბედისწერო დამბაჩა“ და პოტაპენკოს ერთ მოქმედებიანი პიესა „სიზმარი ტაინი სოვეტნიკი'ა“. დასაწყისი საღამოს სწორეთ 8 საათზე.

**ალმანახი „ძალა“.** გუშინ 15 თებერვალს ტფილისში გამოვიდა მორიგი ალმანახი „ძალა“.

**მკვლელობა.** ტფილისში 14 თებერვალს მოკლულ საფაროვის ორი გაქცეული მკვლელი ჯერ ჯეროვნით ვერ დაიჭირეს. მესამე მკვლელი პოლიციელისაგან მოკლული, ახალციხის მცხოვრები აშოთ სარქისოვი ყოფილა.

კახეთში რკინის გზის საქმის განხილვა, რომელიც დანიშნული იყო სამინისტროში ხვალისთვის, რამდენიმე ხნით გადადებულია. ის ცნობები, რომელიც თავად-აზნაურობამ წარადგინა, საკმარისი არ გამოდგა და მოხსენებას ხელახლად გადაკეთება დასჭირდა.

**კრება.** ქ. დუშეთში, 19 თებერვალს დილის 11 საათზე დანიშნულია დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა ჩვეულებრივი კრება.

კასპიის ზღვაში კიდევ სამ პატარა სამხედრო გემს უმატებენ.

პურიშკევიჩს ქალთა კრების ქ-ნ ფილოსოფოვას წერილობითი შეურაცხყოფისათვის ერთი თვით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯეს.

**ნაძალადევი.** ტფილისის საბჭოს საადგილ-მამულო კომისიამ ნაძალადევში ქალაქის მიწები ხელახლად შეაფასა. პირველ კატეგორიის მიწები, რომელიც პირველ შეფასებით, საჟენი 30 მანეთად უნდა გაყიდულიყო, ახლა 28 მან. შეაფასეს, არ ვიცით, მარტო ორი მანეთით თუ აპირებდენ ფასის დაკლებას, ამდენ ხანს რად სტანჯავდენ საცოდავ ხალხს,

სენატმა სევასტოპოლის გენერალ-გუბერნატორისაგან პოლიციის გასაძლიერებლად ახალ გადასახადის შემოღება კანონიერად სცნო

გზათა ახალმა მინისტრმა რუხლოვმა სამინისტროში ყველა განსაკუთრებულ საქმეების ჩინოვნიკები დაითხოვა.

## დაბა-სოფელში

სოფ. ქვიტირი (ქუთაისის მაზ.) პარასკევს 6 თებერვალს ს. ქვიტირის ორ კლასიან სამინისტრო სასწავლებელში, ადგილობრივი მასწავლებლის ქ-ი დომ. ქეიშვილის ინციატორობით, ხსენებული სასწავლებლის მასწავლებლებმა გაუმართეს მოწაფეებს სალიტერატურო დილა, რომელსაც დაესწრო სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ. მგ. სუდაკოვი. სალიტერატურო დილამ კარგად ჩაიარა; სკოლის დარბაზში მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი და, ოთახში რომ ტევა აღარ იყო, დერეფნის მოაჯირზე შემდგარი ხალხი ფანჯრებიდან უცქეროდენ და ისმენდენ ყმაწვილების ლექსების კითხვას და სიმღერებს. ბავშვებმა წაიკითხეს მრავალი ლექსები, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებო იყო: „ქართლის დედა“, „სიზმარი“, „მამულის სიყვარული“ და სხვა. მრავალ სიმღერებს შორის საყურადღებო იყო: „სამშობლო“, „ფაცხა“ და „ომში წასვლა“, სამმა ბავშმა იგალობა „წმიდაო, ღმერთო“, და ეს გალობა დამსწრე საზოგადოებას მეტად მოეწონა და როგორც საზოგადოების აგრეთვე ბ. სუდაკოვის თხოვნით ექსჯერ იქნა გამეორებული. დამსწრე საზოგადოება დიდათ კმაყოფილი დარჩა; ბ. სუდაკოვმა მასწავლებლებს მადლობა გადაუხადა, რომ ბავშებს სალიტერატურო დილა გაუმართეს.

ბ. ბ. მასწავლებლებს რომ შეეწუხე ბინათ თავი და, როგორც ბავშებისათვის, აგრეთვე დამსწრე საზოგადოებისათვის გაეცნოთ ჩვენი უკვდავი მწერლების, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვათა ბიოგრაფია, ურიგო არ იქნებოდა და, ჩემი აზრით, დამსწრე საზოგადოების ყურადღებასაც ყველაზე მეტად ეს მიიქცევდა და დიდ გავლენას იქონიებდა.

ქვიტირის მასწავლებლები ურიგოს არ იზამენ, თუ ამ საალდ მოდ ბავშებს, რაც შეიძლება უფრო რიგიანად მოამზადებენ და კიდევ გამართავენ, არა მარტო სალიტერატურო დილის, არამედ წარმოდგენასაც. ჩემი ფიქრით ხალხში განათლების შეტანისათვის, ორივე ეს აუცილებელი მასალაა.

Camarade

### ბატონო რედაქტორო!

გვქონდა ბედნიერება წაგვეკითხა „ივერიის“ მე-5 №-ში უსახელო კორესპონდენტის შეკითხვა, რაზედაც ჩვენ უპასუხებთ აი რას:

ჩვენ არა ვსთვლით ვალდებულად ჩვენს თავს პასუხი ვაგოთ ვინმე ვიგინდარას ყოველ-გვარ უსაბუთო მოთხოვნაზე, არა ვსთვლით ვალდებულად კიდევ იმიტომ, რომ საქმით დაინტერესებული და არა დამნაშავე ნილაბს არასოდეს არ ჩამოიფარებს, მით უმეტეს, თუ ბანკის წევრების უმრავლესობის თანაგრძნობა ამ ვაჟბატონისკენ არის, როგორც ეს კორესპოდენტის წერილიდგან გამოდის. ქვევით: შეეძლო ხსენებულ კორესპოდენტს მობრძანებულიყო, გადაეთვალიერებინა წასული კრების ანგარიშების წიგნები, დარწმუნებულიყო ამა თუ იმ საქმის ნამდვილ ვითარებაში და მხოლოდ შემდეგ დაედვა ბრალი.

ჩვენ ვიწვევთ უსახელო კორესპოდენტს, თუ შესწევს ცოტა მაინც მოქალაქობრივი გამბედაობა, თუ მართლა შესტკივა გული ისეთი დაწესებულებისათვის როგორც ყვირილის სამეურნეო ბანკია, მობრძანდეს, გადაათვარიელოს ანგარიშების წიგნები და თვითონვე აგოს პასუხი თავის უტიფარ წერილს, თვითონვე უარყოს ის ცრუ ხმები, რომელსაც ასე უსირცხვილოდ ავრცელებს საზოგადოებაში, შეიძლება თავისი დაცემული პრესტიჟის აღსადგენად. თუ უსახელო კორესპოდენტი ამ მოთხოვნაზე არ დაგვკმაყოფილდება, მაშინ ჩვენ შევეცდებით ღირსეული პასუხი გავსცეთ მას და შესაფერისი სახელიც ვუწოდოთ.

იმედია პასუხი ჩქარა იქნება.

ყვირილის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგად. გამგეობის თავმჯდომარე

**ტ. ა. ნიორაძე.**

რედაქცია ამ უზრდელ წერილს უცვლელად ბეჭდავს და დარწმუნებულია, რომ კორესპონდეტის წერილში მოთავსებული შეკითხვა სიმართლეს მოკლებული არ არის.

ბ. ნიორაძეც არავითარ საბუთს არ გვაძლევს ეიფიქროთ, რომ ჩვენი კორესპოდენტი მართალს არ ამბცბს. რად ეშინია ბანკის გამგეობას სთქვას,—ამ „გადაყოლილ“ ფულის შესახებ რამე ზომები თუ მიიღო და დამნაშავე ბანკიდან თუ დაითხოვა? ნუ თუ მართლაც ყველა, ვისაც სიმართლის გაგება სურს, უთუდ ბანკში უნდა შევიდეს და გამგეობის ნებართვით მის დავთრებსა და წიგნებს გაეცნოს?

ან ეგება თავის უზრდელ წერილით უნდა ბ. ნიორაძეს სიმართლის გარკვევა? ნუ თუ ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ მეტი ზრდილობა არ იცის და ლანძღვაგინებით სურს საზოგადოების პატივისცემა დაიმსახუროს და ბანკსაც საერთო ნდობა და თანაგრძნობა მოუპოვოს?..

სირცხვილია!...

რედ.

### საწყლის ოჯახში ნამღერი!

(ნატვრა)

შუა ღამეა. ქიტუას ოჯახს უკვე სძინავს, თვითონ კი ახლოს მისჯდომია შეკედლებულ მგზავრ ებრაელ მოხუც დანიელს და მისგან საოცარ ამბებს ისმენს.

მოხუც დანიელს თავის სოფლამდის გზაზედ დაუღამდა. შაბათ ღამის გათევა ქრისტიანებთან მოუხდა. გულკეთილმა ქიტუამ დანიელს უარი არ უთხრა.

—„დანიელ, ჩონგურის დაკვრა გცოდნია, შენი რჯულის მადლის, დაუკარ, გულს გავაყოლებთ...

დანიელმა აღარ დააყოვნა, ჩონგური აიღო, გამხდარი გრძელი თითები სიმებს შეახო...

შავი ფიქრები აეშალნენ, მოაგონდა თავის ერის სავაგლახე, შორშან ნახული მტრის ხელში მყოფი იერუსალიმი, ყველასაგან აბუჩად აგდებული თავის თავი, თავის გულკეთილი მასპინძელი და მთლად გრძნობად გადაიქცა...

აკვნესა, აატირა სიმები.., სამი სიმი ალაპარაკდენ. გული აუჩუყა მწარე მოგონებამ, ცრემლიან თვალით მისჩერებია დანიელი მოგუგუნე ბუხარს და ფიქრებით თავის ჩაგრულ ერს ესაყვარლება. . სიმების კვნესას თავისს სუსტს, მაგრამ ტკბილ ხმასაც აყოლებს:

მტრისგან დევნულებს
ვუძღვნი ტკბილ ჰანგებს..
დახოცილთ ვუმღერ
საფლავზედ ნანას ..

მოხუც დანიელს გულის ღელვასთან ერთად თანდათანობით ხმაც უძლიერდება. სურს ძლიერთაგან დახოცილთ ძვლებამდის მიაღწიოს მისმა ნანამ, სურს თავის სუსტი და თავისუფალი კვნესა ყველას მიაწვდინოს და... მიზანსაც აღწევს: მისი კვნესა ქიტუას გულს ჩასწვდა, შავი ფიქრები ევლებიან თავს, მთლად სმენად იქცა...

საწყლებისათვის
ვაჟღერებ სიმებს,
მწუხარების ცრემლს
მოვსწმენდ მათ თვალით. .

დევნილი დანიელ სხვასა ჰფარველობს: მზაა გაჭირვებულთ ცრემლი მოსწმინდოს... ქიტოს გულის სიმს ხელი შეახო, ნეტარი გრძნობები აუთამაშა.

საწყლის ოჯახში
ვაკვნესებ ჩონგურს.

კვლავ მოსთქვამს დანიელი. ქიტოს ესმის მისი ნამღერი, მიუხვდა გულის ზრახვას; იცის, რომ ისიც დანიელივით დევნილია, მისი მშობელი ქვეყანა გაანადგურეს დანიელის იერუსალიმსავით; დანიელმა ამცნო, რომ **ისინი ძმები არიან**, რომ დევნა, გაჭირვება მათ აერთებთ; გაიგო, რომ სარწმუნოება ერთ ენაზედ ძმურად მეტყველთ ვერ დააშორებს... გაიგო და გული მოულბო ტკბილად ნამღერმა...

დევნილთა ძმობას,
მათ შორის კავშირს
მიუძღვნი ჩემ გულსა
მათ ერთობისთვის
ვატირებ სიმებს...

გაათავა. უკანასკნელი ხმა ჩაწყდა... და ამ ზეციურ ჰანგით დამთვრალი, ნეტარ წუთებით მოჯადოვებული ქიტო მიუახლოვდა დანიელს და თავის შეკედლებულ ძმას გულს ჩაეკრა.

ქიტუა და დანიელი სტიროდენ...

სიხარულის ცრემლით სტიროდენ დევნილი ძმები!..

**ვ. თამაროშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი

**კ. ი. ხერხეულიძე.**


## განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნ. საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ის აუქმებს ამ ბანკის მიერ თავ. რევაზ არჩ. ძე ციციშვილზე, გიორგი ქაიხოსროს ძე კლიმიაშვილზე და სიმონ გრიგოლის ძე ჯაფარიძეზე გაცემულ ვექსილებს, რომელიც შემოწმებული იყო ნოტარიუს წინამძღვარიშვილთან 1907 წ. 31 მარტს №№ 2256, 2258 და 2282. 1—1

კახეთის ნამდვილი

ღ ვ ი ნ ო



„ძმობა“

0—1

**ტფილისის სახაზინო თეატრი**

ორშაბათს, 16 თებერვალს 1909 წ.

**ს. ფ. საბუროვის დასის გასტროლი**

წარმოდგენილ იქნება:

I. Мартовскій котъ ფარსი 3 მოქმ.

II. Сонная тетеря, ფარსი 3 მოქმ.

**დასაწყისი სწორედ 8 საათ.**

სამშაბათს, 17 თებერვალს: 1. Цапъ Царепъ 2. Пансіонъ M-me Серафэнъ.

**კიდევ მხოლოდ ექვს დღეს 16, 17, 18, 19, 20 და 21**

**თებერვალს**

ზოგიერთ საქონელზე ფასი ღირებულზე დაკლებულია მანეთზე 75%.

**პ. ს. დოროჟნოვი**

ზოგიერთ საქონელზე ფასი ღირებულზე დაკლებულია მანეთზე 75%.

სოლოლაკის ქუჩა, გურგენოვის ს. ტელეფ. № 583.

ვატყობინებთ მუშტრებს, რომ რუსეთში ვაჭრობის დაცემით ვისარგებლეთ და შემთხვევით მალიან იაფად შევიძინეთ მრავალი საქონელი. მაღაზიაში დარჩენილია უკანასკნელ სეზონის საქონელიც

**ყველა საქონელზე, რომელიც შემთხვევით ნაყიდია და უკანასკნელ სეზონიდან დარჩა დანიშნულია**

**დიდი იაფობა**

კიდევ მხოლოდ 6 დღეს, 16, 17, 18, 19, 20 და 21 თებერვალს

**ამ იაფობაში გასაყიდათ მაღაზიის ყველა განყოფილებას გადაცემული აქვს 300,000 მანეთზე მეტის ნაირნაირი საქონელი, რომელიც ხსენებულ დღეების განმავლობაში არა ჩვეულებრივ იაფად გაიყიდება**

მივაქცევთ მუშტრების ყურადღებას საქონლის განსაცვიფრებელ სიიაფეს. ყველაფერი მეტად იაფად იყიდება, ზოგიერთ საქონლის ფასსაც აქვე აღვნიშნავთ:

ფრანგული ფერადი ტილო 10 ნახევ. კაპ. არშინი და მეტიც.

მუსლინი და ფერადი ფულარი 10 ნახევ. კაპ. არშინი და მეტიც.

სარაღოვის სარპინკა 9 კაპ. არშინი და მეტიც.

ტუალ-საკ და გროს-ტუალ 18 კაპ. არშინი.

შალის საკაბე, საკასტიუმე ნაჭრები 3 მ. 75 კ. ნაჭერი და მეტიც.

აბრეშუმის სარპინკის ფულიარი 29 კაპ. არშინი და მეტიც.

კაცების საკასტიუმე ტრიკო 6 მ. 65 კ. ნაჭერი და მეტიც.

შალის ფლანელი კარგ ღირსების 65 კ. არშინი და მეტიც

მადეპალამი ძალიან კარგ ღირსების 16 კ. არშ. და მეტიც.

საპირსახოცე ტილო 7 კაპ. არშ. და მეტიც.

ფერადი ცხვირსახოცები აბრეშუმის ბატისტის ნახევ. დუჟ. 28 კ.

ქალის პერანგები 80 კაპ. და მეტიც.

პერანგის ამხანაგები კრუჩონკის 75 კ. და მეტიც.

კაცების პერანგები მადეპალამის საუკეთესო 90 კ. და მეტიც.

ქალის ჩულქები, უცხოეთის, ორკეც ძირით 7 მან. 80 კ. მაგიერ 4 მან. 80 კაპ. დუჟინი.

კაცის წინდები, ორკეცი ქუსლით 2 მ. 20 კ. დუჟ. და მეტიც.

**ყოველ ნაირ საქონლის 50,000 ზე მეტი დარჩენილი ნაჭრები**

იაფობის დროს ვაჭრობისათვის მაღაზია ღიაა დილის 9 საათიდან $2^1/_2$ საათამდის და ნაშუადღევის 4—$6^1/_2$ საათამდის

P. S. **მაღაზია ძალიან გადიდებულია, მირიმანისეული მაღაზიის სადგომიც მასთან ერთ მაღაზიათ არის შეერთებული.**